



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law

SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY

წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL

ოქმი № 2

„ 18 „ 04

2022 წ.

დადგენილება № 7

ქ. ახალქალაქში განხორციელებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მოწვეულ პროფესიული განათლების მასწავლებლებზე გაზრდილი ოდენობით შრომის ანაზღაურების გაცემის შესახებ

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად,

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. მაღალმთიან დასახლებაში მდებარეობის გამო, ქ. ახალქალაქში განხორციელებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მოწვეული პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის ერთ საკონტაქტო საათზე დადგენილი ოდენობის 1.25 კოეფიციენტზე გადამრავლებით.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება გაეგზავნოს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას და განთავსდეს ვებ-გვერდზე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მეზალიშვილის ქ.N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს
 სპიკერი, პროფესორი

ლავრენტი ჩიბურდანიძე